სიკვდილი გერმანელ ოკუპანტებს!

მუშურ-გლეხური წითელი არმიის

# მებრძოლი

ამიერკავკასიის ფრონტის წითელარმიული გაზეთი
Красноармейская газета Закавказского фронта „Боец РККА" на грузинском языке

№ 44 (304) | ოთხშაბათი, 11 აპრილი | 1945 წ.

## ფართოდ გავშალოთ მასობრივი ფიზკულტურა და სპორტი

საყოველთაოდ ცნობილია ფიზიკური კულტურისა და სპორტის მნიშვნელობა სრულფასოვანი მებრძოლის მომზადებისათვის. ვერ წარმოგვიდგენია წითელი არმიის ისეთი მეომარი, რომელსაც არ შეუძლია გადალახოს წყლის ზღუდეები, განახორციელოს მარში და გზიდანვე ჩაებას ბრძოლაში, რომელსაც არ შეუძლია ოსტატურად დასძლიოს ურთულესი ხელოვნური დაბრკოლებანი, რითაც მოფენილია მტრის თავდაცვის ხაზები.

წითელი არმიის მეომარი ღონიერი, მამაცი, მარდი, მოხერხებული და ინიციატივიანი ადამიანია, რომლისათვის არ არსებობს გადაულახავი დაბრკოლება. მაგრამ ყველა ეს თვისება მებრძოლში თავისთავად კი არ გამომუშავდება. მათ გამოსამუშავებლად საჭიროა დაუღალავად ავარჯიშო შენი სხეული.

სასწავლო პროგრამებით გათვალისწინებული მეცადინეობა ფიზიკურ მომზადებაში და ყოველდღიური ფიზდამუშავება საქმის მხოლოდ ერთი ნაწილია.

ამ თვისებების გამოსამუშავებლად უდიდეს შესაძლებლობას იძლევა სისტემატური მეცადინეობა სპორტში.

დიდი სამამულო ომის გამოცდილება გვიჩვენებს, თუ მებრძოლის საუცხოო ფიზიკური მომზადება როგორ უზრუნველყოფს მის გამარჯვებას ბრძოლაში. ეს ადასტურებს, რომ ჩვენი ფრონტის ნაწილებსა და შენაერთებში, რომლებიც ამზადებენ რეზერვებს მოქმედი არმიისათვის, სპორტის მასობრივი განვითარება წარმოადგენს მნიშვნელოვან და აუცილებელ საქმეს.

გაზაფხული უკვე დაიწყო. დადგა დრო, როცა მეცადინეობამ ფიზიკურ მომზადებასა და სპორტში ფართო ხასიათი უნდა მიიღოს. ამისათვის კი საჭიროა სრულ წესრიგში მოყვანილ იქნას ყველა სპორტული ნაგებობანი: სტადიონები, მოედნები, წყლის ბაზები, შეკეთებულ იქნას მთელი სასპორტო ინვენტარი და სხვ.

გასული წლის საფრონტო სპარტაკიადის შედეგებმა დაადასტურეს, რომ ყველაზე უკეთესი წარმატებები მოიპოვეს იმ ნაწილებმა და შენაერთებმა, სადაც ფიზიკური კულტურა და სპორტი წარმოადგენენ მათი ცხოვრების განუყოფელ ნაწილს. ამის მაგალითს წარმოადგენს ის შენაერთი, რომლის ოცეულმა ლეიტენანტ კამკამიძის მეთაურობით გასული წლის სპარტაკიადაზე პირველობა მოიპოვა ოცეულების სამხედრო-გამოყენებით მრავალჭიდში. თუ რამდენად სერიოზულად ეკიდება ამ შენაერთის სარდლობა პირადი შემადგენლობის ფიზიკურ მომზადებას, მოწმობს შენაერთის მეთხილამურეთა წარმატებითი გამოსვლა ამა წლის ზამთარში სათხილამურო სპორტში ჩატარებულ საფრონტო პირველობაზე.

მაგრამ, ჯერ კიდევ არიან ისეთი მეთაურები, რომლებიც პირადი შემადგენლობის ფიზიკურ მომზადებას გაიხსენებენ ხოლმე მაშინ, როცა უკვე საჭიროა რაიმე აუცილებელი საფრონტო ღონისძიების ჩატარება, და რადგან ამ მხრივ ნაწილში არ არის გეგმიანი მუშაობა, ხშირად ასეთი მეთაურები დგებიან ცნობილი სპორტსმენების „სასწრაფოდ ჩაბმის" გზაზე, სპორტსმენებისა, რომლებსაც ხშირად არავითარი დამოკიდებულება არა აქვთ ამ ნაწილთან. ისინი ცდილობენ ამით შეავსონ თავიანთი უმოქმედობა საბრძოლო მომზადების ამ უბანზე. ასეთ მეთაურებს არ ესმით, რომ სპორტი თვითმიზანი კი არ არის, არამედ სრულფასოვანი მეომრის ფიზიკური მომზადების მძლავრი საშუალებაა.

დიდი და საპატიო როლი აკისრიათ ფრონტის ნაწილებისა და შენაერთების სასპორტო კომიტეტებს. სასპორტო კომიტეტები უნდა იყვნენ ამ დარგში მთელი მუშაობის მაორგანიზებელი და გამტარებელი ცენტრები, ისინი უნდა იყვნენ ოპერატიული ორგანოები, რომლებიც საქმით დაეხმარებიან შენაერთის მეთაურს მებრძოლთა ფიზიკურად მომზადებაში.

კომიტეტებმა დაუყოვნებლივ უნდა გაშალონ თავიანთი მუშაობა, დაეხმარონ საუკეთესო ფიზკულტურელებისა და სპორტსმენების შერჩევაში, სპორტის ცალკეულ სახეების მიხედვით სასპორტო სექციების მოწყობასა და გუნდების ჩამოყალიბებაში. მათ უნდა მიაღწიონ იმას, რომ ეს სექციები სისტემატურად და სრულყოფილად მუშაობდნენ. სასპორტო მუშაობის გაშლის საქმეში ფართო ასპარეზი აქვთ წითელი არმიის სახლებს. სექციურ სასპორტო მუშაობაში ჩაბმული უნდა იქნას ჩვენი ფრონტის მეომართა მთელი მასა, პირველ რიგში, ჩვენი ახალგაზრდობა. საჭიროა რაც შეიძლება უკეთესად გამოყენებულ იქნას სპორტის ოსტატებისა და სპორტსმენების გამოცდილება სპორტული ახალგაზრდობის მოსამზადებლად.

1945 წლის სასპორტო სეზონი უსათუოდ საინტერესო და მრავალფეროვანი იქნება. აპრილში ჩატარდება შეჯიბრი ფრონტის პირველობაზე ჭიდაობაში, სიმძიმის აწევასა და კრივში. მაისში შესდგება შეჯიბრება ხელჩართულ ბრძოლაში, მაისშივე ჩატარდება საფრონტო მოტოგადარბენა.

დიდ სპორტულ ღონისძიებას წარმოადგენს მე-20 საფრონტო სპარტაკიადა, რომელმაც უნდა შეაჯამოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტში მთელი ჩვენი მუშაობის შედეგები. მის პროგრამაში შედის: ოცეულების სამხედრო-გამოყენებითი მრავალჭიდი, მძლეოსნობა, ტანვარჯიში, ცურვა, ხელჩართული ბრძოლა, ველო-მოტოსპორტი, ფეხბურთი, კალათბურთი და სხვ.

ამ ღონისძიებებში მონაწილეობის უფლება რომ მოიპოვო, საჭიროა დაუყოვნებლივ შეუდგე საქმიან მუშაობას, მტკიცედ უნდა გახსოვდეს, რომ მთელი მუშაობის საფუძვლად უნდა დაედოს ფართო მასიურობა, ფრონტის ყველა მეომრის მონაწილეობა ფიზკულტურულ და სასპორტო მომზადებაში.

## გენერალ-მაიორი ე. გ. კობერიძე საბჭოთა კავშირის გმირი

გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან მამაცობისა და გმირობის გამოჩენისათვის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით გენერალ-მაიორ ერმოლოზ გრიგოლის-ძე კობერიძეს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება, ლენინის ორდენისა და მედალ „ოქროს ვარსკვლავის" გადაცემით.

## საბჭოთა მთავრობის განცხადება ავსტრიის შესახებ

წითელი არმია, რომელიც ანადგურებს და დევნის გერმანელ ფაშისტთა ჯარებს, შევიდა ავსტრიის ფარგლებში და ალყა შემოარტყა ავსტრიის დედაქალაქ ვენას.

გერმანიაში შეჭრილ გერმანელთაგან განსხვავებით ავსტრიის მოსახლეობა ეწინააღმდეგება ევაკუაციას, რომელსაც გერმანელები ახდენენ, ადგილზევე რჩება და გულთბილად ეგებება წითელ არმიას, როგორც ჰიტლერელთა უღლისაგან ავსტრიის განმათავისუფლებელს.

საბჭოთა მთავრობა არ ისახავს მიზნად ავსტრიის ტერიტორიის რაიმე ნაწილის შეძენას ანდა ავსტრიის სოციალური წყობილების შეცვლას. საბჭოთა მთავრობა იდგას მოკავშირეთა მოსკოვის დეკლარაციის თვალსაზრისზე ავსტრიის დამოუკიდებლობის შესახებ. საბჭოთა მთავრობა განახორციელებს ამ დეკლარაციას. იგი ხელს შეუწყობს გერმანელი ფაშისტი ოკუპანტების რეჟიმის ლიკვიდაციას და ავსტრიაში დემოკრატიული წესრიგისა და დაწესებულებათა აღდგენას.

წითელი არმიის უმაღლესმა მთავარსარდლობამ ბრძანება გასცა საბჭოთა ჯარებისადმი, რათა მათ ხელი შეუწყონ ავსტრიის მოსახლეობას ამ საქმეში.

## მარშალ ტოლბუხინის მიმართვა ვენის მცხოვრებლებისადმი

ქალაქ ვენის მცხოვრებლებო!

წითელი არმია, რომელიც ანადგურებს გერმანელ ფაშისტთა ჯარებს, ვენას მოადგა.

წითელი არმია ავსტრიის ფარგლებში შემოვიდა არა იმ მიზნით, რომ დაიპყროს ავსტრიის ტერიტორია, არამედ მხოლოდ-მხოლოდ იმ მიზნით, რომ გაანადგუროს მტრული გერმანელ ფაშისტთა ჯარები და გაათავისუფლოს ავსტრია გერმანიაზე დამოკიდებულებისაგან.

წითელი არმია იდგას მოკავშირეთა მოსკოვის დეკლარაციის თვალსაზრისზე ავსტრიის დამოუკიდებლობის შესახებ და ხელს შეუწყობს იმ წესრიგის აღდგენას, რომელიც ავსტრიაში არსებობდა 1938 წლამდე, ე. ი. ავსტრიაში გერმანელთა შემოჭრამდე.

წითელი არმია ებრძვის გერმანელ ოკუპანტებს და არა ავსტრიის მოსახლეობას, რომელსაც შეუძლია თავისუფლად განაგრძოს თავისი მშვიდობიანი შრომა. სიცრუეა ხმები, რომლებსაც ჰიტლერელები ავრცელებენ, თითქოს წითელი არმია სპობდეს ნაციონალ-სოციალისტური პარტიის ყველა წევრს. ნაციონალ-სოციალისტების პარტია დაშლილ იქნება, მაგრამ ნაციონალ-სოციალისტური პარტიის რიგით წევრებს ხელს არავინ ახლებს, თუ ისინი ლოიალობას გამოიჩენენ საბჭოთა ჯარების მიმართ.

დადგა ჟამი ავსტრიის დედაქალაქ ვენის გერმანელთა ბატონობისაგან განთავისუფლებისა, მაგრამ გერმანელ ფაშისტთა ჯარებს, რომლებიც უკან იხევენ, სურთ ბრძოლის ველად აქციონ ვენაც, როგორც ეს მათ ჩაიდინეს ბუდაპეშტში. ეს ვენასა და მის მცხოვრებლებს იმავე ნგრევასა და ომის საშინელებას უქადის, რაც გერმანელებმა ბუდაპეშტსა და მის მოსახლეობას მიაყენეს.

ავსტრიის დედაქალაქის, მისი კულტურისა და ხელოვნების ისტორიულ ძეგლთა გადარჩენის მიზნით წინადადებას ვიძლევი:

1. მთელი მოსახლეობა, ვისთვისაც ძვირფასია ვენა, ქალაქიდან არ გაიხიზნოს, ვინაიდან გერმანელთაგან ვენის გაწმენდისთანავე თქვენ გადარჩებით ომის საშინელებას, ხოლო ისინი, ვინც გაიხიზნება, გერმანელები დასაღუპავად გარეკავენ.
2. არ დაანებოთ გერმანელებს ვენის დანაღმვა, მისი ხიდების აფეთქება და სახლების გადაქცევა სიმაგრეებად.
3. მოაწყეთ ბრძოლა გერმანელთა წინააღმდეგ და დაიცავით ვენა ჰიტლერელების მიერ დანგრევისაგან.
4. ყველა ღონისძიებით ხელი შეუშალეთ გერმანელებს ვენიდან სამრეწველო მოწყობილობის, საქონლის, სურსათის გატანაში და არ დაანებოთ ვენის მოსახლეობის ძარცვა.

ვენის მოქალაქენო!

დაეხმარეთ წითელ არმიას ავსტრიის დედაქალაქ ვენის განთავისუფლებაში, შეიტანეთ თქვენი წვლილი გერმანელ ფაშისტთა უღლისაგან ავსტრიის განთავისუფლების საქმეში.

უკრაინის მე-3 ფრონტის ჯარების სარდალი
საბჭოთა კავშირის მარშალი ტოლბუხინი

1945 წლის 6 აპრილი.

## თურქეთის მთავრობის პასუხი საბჭოთა მთავრობის განცხადებაზე თურქეთ-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების დენონსაციის შესახებ

ანკარა, 8 აპრილი. (ტასი). ანატოლიის სააგენტო გადმოგვცემს, რომ საბჭოთა კავშირის მიერ თურქეთ-საბჭოთა კავშირის 1925 წლის 17 დეკემბრის ხელშეკრულების დენონსაციის პასუხად თურქეთის მთავრობამ „აცნობა საბჭოთა მთავრობას დეკლარაციის სახით, რაც საგარეო საქმეთა მინისტრმა ჰასან საკამ 1945 წლის 4 აპრილს გადასცა საბჭოთა ელჩს თურქეთში ვინოგრადოვს იმის შესახებ, რომ თურქეთის მთავრობას ყოველთვის სურდა დაეცვა და განემტკიცებინა გულწრფელი მეგობრობისა და კეთილმეზობლობის ურთიერთობა, რაც დიდიხნიდან აკავშირებს თურქეთსა და სსრ კავშირს, რომ მას სურს ხაზგასმით აღნიშნოს, თუ რა მნიშვნელობას ანიჭებდა იგი 1925 წლის 17 დეკემბრის ხელშეკრულებას, რომელმაც მნიშვნელოვანი სამსახური გაუწია თურქეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საქმეს, და რომ მან მხედველობაში მიიღო საბჭოთა მთავრობის სურვილი მოახდინოს ამ ხელშეკრულების დენონსაცია. შესაბამისად საბჭოთა მთავრობის წინადადებისა შეიცვალოს ხელშეკრულება, რომელსაც ვადა გასდის, ორივე მხარის ახლანდელი ინტერესებისათვის უფრო შესაბამისი და სერიოზული გაუმჯობესების შემცველი სხვა ხელშეკრულებით, თურქეთის მთავრობამ აცნობა, რომ იგი მზად არის მთელი ყურადღებით და კეთილმოსურნეობით შეისწავლოს წინადადებანი, რომლებიც მას ამის თაობაზე წარედგინება.

## საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან
### 10 აპრილის ოპერატიული ცნობა

ბელორუსიის მე-3 ფრონტის ცნობებით, 9 აპრილს 21 საათისა და 30 წუთის შემდეგ, ე. ი. კენიგსბერგში გერმანელთა ჯარების წინააღმდეგობის შეწყვეტის შემდეგ, 9 აპრილს ღამით და 10 აპრილს დღისით ტყვედ დაგვნებდა დაახლოებით 50,000 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

ამრიგად, გერმანელთა კენიგსბერგის დაჯგუფების ლიკვიდაციისათვის ბრძოლების დროს, ე. ი. 6-დან 10 აპრილამდე, ტყვედ წამოყვანილია სულ 92,000-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

ამავე პერიოდში გერმანელებმა მოკლულთა სახით დაჰკარგეს 42,000-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი.

ტყვეთა შორის არის 1,819 ოფიცერი და 4 გენერალი — კენიგსბერგის გამაგრებული რაიონის კომენდანტი ინფანტერიის გენერალი ლაში, ციხის კომენდანტის მოადგილე გენერალ-ლეიტენანტი მიკოში, გერმანელთა 61-ე ქვეითი დივიზიის მეთაური გენერალ-ლეიტენანტი შპერლი, გერმანელთა 367-ე ქვეითი დივიზიის მეთაური გენერალ-მაიორი ჰენლე.

ფრონტის ჯარებმა ხელთ იგდეს შემდეგი დავლა: 2,023 საველე ქვემეხი, 89 ტანკი და თვითმავალი ქვემეხი, 1,652 ნაღმსატყორცნი, 4,678 ტყვიამფრქვევი, 119 ჯავშანტრანსპორტიორი, 2 ჯავშნიანი მატარებელი, 8,560 ავტომანქანა, 187 ტრაქტორი და საწევარი, 774 ორთქლმავალი, 8,544 ვაგონი, 146 კატერი და ბარჟა, 441 საწყობი სამხედრო ქონებით.

მოსპობილია: 120 თვითმფრინავი, 1,193 საველე ქვემეხი, 568 ნაღმსატყორცნი, 104 ტანკი და თვითმავალი ქვემეხი, 82 ჯავშანტრანსპორტიორი, 1,710 ავტომანქანა, 20 ორთქლმავალი, 215 ვაგონი, 77 საწყობი სამხედრო ქონებით.

10 აპრილის განმავლობაში ზემლანდის ნახევარკუნძულზე კენიგსბერგის დასავლეთით ბელორუსიის მე-3 ფრონტის ჯარებმა ბრძოლებით დაიკავეს დასახლებული პუნქტები მეტგეტენი, მოდიტენი, კლაინ ფრიდრიხსბერგი, გროს ჰოლშტაინი.

(დასასრული მე-4 გვ.)

# როგორ უნდა შესდგეს ასეულის პარტორგის გეგმა

გულდასმით მოფიქრებული და კარგად შედგენილი გეგმა გვეხმარება ზუსტად განვსაზღვროთ და გამოვყოთ მუშაობის ძირითადი ამოცანები გარკვეულ დროის მონაკვეთზე, დავსახოთ კონკრეტული ღონისძიებანი და სწორად განვალაგოთ ძალები პარტორგანიზაციის წინაშე მდგარი ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის.

„არ შეიძლება უგეგმოდ მუშაობა", — აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი. ვლადიმერ ილიას-ძის ამ რამდენიმე სიტყვაში მოცემულია ის უდიდესი მნიშვნელობა, რომელსაც ჩვენი პარტია ანიჭებს მუშაობას გეგმის მიხედვით.

როგორ უნდა შესდგეს ასეულის პარტორგის გეგმა, რომ იგი უპასუხებდეს აღნიშნულ მოთხოვნილებებს?

სამუშაო გეგმის შედგენამდე პარტორგი უნდა ესაუბროს ასეულის მეთაურს, გამოარკვიოს რა ამოცანები დგას ქვეგანაყოფის პირადი შემადგენლობის წინაშე დროის მოცემულ მონაკვეთზე, გაითვალისწინოს პოლიტნაწილში ბატალიონის მეთაურის მოადგილისა და ბატალიონის პარტიული ბიუროს ღონისძიებანი და მითითებები, პარტკრებების გადაწყვეტილებანი, სარდლობისა და პოლიტორგანოების დირექტივები და ბრძანებანი. აგრეთვე საჭიროა გაითვალისწინოს ის ამბებიც, რომლებიც ხდება ჩვენს ქვეყანაში და მის ფარგლებს იქით. მხოლოდ ყოველივე ამის გათვალისწინებისა და ანალიზის საფუძველზე შეიძლება შესდგეს მიზანსწრაფული სამუშაო გეგმა.

გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ასეულის პარტორგანიზაციის სამუშაო გეგმა მიზანშეწონილია შესდგეს 15 დღის ვადით. გეგმაში შეიძლება გამოვყოთ ცალკე თავები ანდა შევადგინოთ კალენდარული წესით, თავების გარეშე. ამში თავიანთი გამოხატულება უნდა ჰპოვონ შემდეგმა საკითხებმა:

ა) პარტიული კრებები. ამასთან აღნიშნული უნდა იყოს დღის წესრიგი, მათი მომზადებისა და ჩატარების ღონისძიებანი;

ბ) პარტბიუროს სხდომები (თუ კი პარტბიურო არის ასეულში);

გ) კომკავშირული ორგანიზაციის კრებები (ამ თავში პარტორგმა უნდა აღნიშნოს როდის და რა საკითხზე იქნება ჩატარებული კომკავშირული კრება, რა დახმარებას გაუწევს პარტორგანიზაცია კომორგს კრების მომზადებასა და ჩატარებაში);

დ) ჯგუფპარტორგებისათვის მუშაობაში დახმარების გაწევა (იქ, სადაც ისინი დანიშნული არიან);

ე) წითელარმიული კედლის გაზეთისათვის ხელმძღვანელობის გაწევა;

ვ) მუშაობა ახალგაზრდა კომუნისტებთან და საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატებთან;

ზ) ღონისძიებანი კომუნისტების იდეური დონის ასამაღლებლად (მოხსენებები, საუბრები, კონსულტაციები, მეცადინეობანი ახალგაზრდა კომუნისტებთან);

თ) მუშაობა უპარტიოებთან.

ასეულის პარტორგის მიერ დასახული და მთელს პირად შემადგენლობასთან ჩასატარებელი ცალკეული ღონისძიებანი, ასეულის მეთაურთან შეთანხმების შემდეგ, უნდა ჩაიწეროს ასეულის პარტორგის გეგმაშიც და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის გეგმაშიც, რომელსაც ადგენს ასეულის მეთაური.

ასეულის პარტორგანიზაციის მუშაობის გეგმას ამტკიცებს ბატალიონის პარტორგი, ხოლო ცალკეული ასეულებისას — პოლკის პარტორგი. მაგრამ ბატალიონის პარტორგის მიერ გეგმის დამტკიცებამდე ასეულის პარტორგმა უნდა თავი მოუყაროს კომუნისტებს ან პარტიულ აქტივს და განიხილოს ღონისძიებანი, რომლებიც დასახული აქვს პარტორგანიზაციას დროის მოცემული მონაკვეთისათვის.

თვალსაჩინოებისა და მაგალითისათვის მოვიყვანოთ იმ ასეულის პარტორგანიზაციის მუშაობის გეგმა, სადაც პარტორგად სერჟანტი ჩიკვაიძეა. გეგმა შედგენილია ორი კვირით 1945 წლის 15-დან 31-მარტამდე.

„ვამტკიცებ"
ბატალიონის პარტორგი
უფრ. ლეიტ. ხომხიაშვილი
1945 წლ. 15/III

**გ ე გ მ ა**

**მე-2 ასეულის პარტორგანიზაციის მუშაობისა**

**1945 წ. 15-დან 31/III**

| №№ რიგ. | ჩატარების თარიღი და დრო | მუშაობის შინაარსი | ვინ ატარებს | ჩატარების ადგილი |
|---|---|---|---|---|
| 1 | 25/III 18.00 | ასეულის პარტკრება შემდეგი დღის წესრიგით:<br>1. საბრძოლო იარაღისა და სახელმწიფო ქონების მოვლა-შენახვა და კომუნისტების ამოცანები.<br>ასეულის მეთაურის უფრ. ლეიტ. პიინუსოვის მოხსენება.<br>დაევალოს კომუნისტებს ლომსაძეს, კვარიასა და გურამიშვილს მოამზადონ გადაწყვეტილების პროექტი. | პარტორგი ჩიკვაიძე | ლენინის ოთახი |
| 2 | 18/III 19.00 | ასეულის პარტბიუროს სხდომა შემდეგი დღის წესრიგით:<br>I. რუსული ენის შემსწავლელი წრის ხელმძღვანელის ამხ. კაკნაძის მოხსენება ასეულის პირადი შემადგენლობის მიერ რუსული ენის შესწავლის საქმეში კომუნისტების მონაწილეობისა და დახმარების შესახებ.<br>II. კედლის გაზეთის რედაქტორის ამხ. ლომსაძის მოხსენება ასეულის კედლის გაზეთის მუშაობისა და კედლის გაზეთში კომუნისტების მონაწილეობის შესახებ.<br>საკითხს ამზადებენ ამხ. იაქიტაძე და ქავთარაძე. | პარტორგი ჩიკვაიძე | ბატალიონის პარტბიურო |
| 3 | 29/III 18.00 | ასეულის კომკავშირული კრება შემდეგი დღის წესრიგით.<br>1. კომკავშირული ორგანიზაციის მონაწილეობა პოლიტმეცადინეობაზე კომკავშირელების წარმატებათა ამაღლების საქმეში.<br>კრების მომზადებასა და ჩატარებაში დახმარების გასაწევად გამოიყონ კომუნისტები ამხ. ლომსაძე და კაკნაძე. | კომორგი ქავთარაძე | ლენინის ოთახი |
| 4 | 20/III 19.00 | თანასაუბარი ახალგაზრდა კომუნისტებთან მათ მოსამზადებლად პოლიტსკოლაში მეცადინეობისათვის, თემა: „ბოლშევიკების პარტია პროლეტარიატის დიქტატურისათვის ბრძოლაში". | საკ. კ. პ. (ბ) წევრი ლეიტ. კარაპეტიანი | ლენინის ოთახი |
| 5 | 24/III 18.00 | საუბარი ასეულის პირად შემადგენლობასთან თემაზე „1945 წ. ზამთარში წითელი არმიის ისტორიული გამარჯვებანი". | საკ. კ. პ. (ბ) წევრი კვირია | ლენინის ოთახი |
| 6 | 30/III 19.00 | ბიუროს წევრებისა და პარტაქტივისათვის კითხვა და განმარტება გაზეთ „პრავდის ზვეზდის" სტატიისა „როგორ უნდა მომზადდეს პარტიული კრება". | კაკნაძე | ბატალიონის პარტბიურო |
| 7 | 22/III 18.00 | ჩატარდეს საუბარი კომუნისტებთან თემაზე „ბოლშევიკური პრინციპულობა მუშაობაში" | უფრ. ლეიტ. ხომხიაშვილი | ბატალიონის პარტბიურო |
| 8 | 26/III 19.00 | საუბარი ასეულის პირად შემადგენლობასთან თემაზე „ჯარისკაცის სამსახური საბრძოლო ამოცანის შესრულებაა". | პარტბიუროს წევრი იაქიტაძე | ლენინის ოთახი |

**ასეულის პარტორგი სერჟანტი ჩიკვაიძე**

თუმცა ასეულის პარტორგანიზაციის აქ მოყვანილ გეგმაში არ არის დაცული მწყობრი სისტემა, მიუხედავად ამისა, ძირითადად იგი სწორადაა შედგენილი.

უკანასკნელ დროს ამ ასეულში ადგილი ჰქონდა იარაღის გაუწმენდავად შენახვას, მეცადინეობაზე დაიკარგა რამდენიმე სანივთე ჩანთა. პარტორგმა სწორად დასვა საკითხი პარტიულ კრებაზე საბრძოლო იარაღისა და სახელმწიფო ქონების მოვლისა და შენახვის შესახებ, რათა დარაზმა პარტიული ორგანიზაცია ამ არანორმალური მოვლენების აღმოსაფხვრელად. მეორე მაგალითი. 28 მარტს ასეული ყარაულში უნდა გასულიყო. ორი დღით ადრე პარტბიუროს წევრმა იაქიტაძემ პირად შემადგენლობასთან ჩაატარა საუბარი სიფხიზლის გაძლიერებასა და საყარაულო სამსახურის სამაგალითოდ შესრულების შესახებ, რომელიც წარმოადგენს საბრძოლო ამოცანის შესრულებას.

როგორც ცნობილია, კედლის გაზეთის სარედაქციო კოლეგია აირჩევა ასეულის წითელარმიულ კრებაზე და ვალდებულია თავის მუშაობის შესახებ ჩააბაროს მას ანგარიში. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ პარტბიურო არ უნდა ჩაერიოს და არ დაეხმაროს სარედაქციო კოლეგიას მუშაობაში. ამიტომ სწორად მოიქცა პარტორგი ჩიკვაიძე, რომელმაც პარტბიუროს სხდომაზე დასვა კედლის გაზეთის რედაქტორის მოხსენება.

ამრიგად, ხელმძღვანელობდა რა საანგარიშო-საარჩევნო კრების გადაწყვეტილებითა და ქვეგანაყოფის კონკრეტული ამოცანებით, პარტორგმა განსაზღვრა პარტიული ორგანიზაციის ძირითადი ღონისძიებანი, რომლებმაც თავისი გამოხატულება ჰპოვეს ორკვირეულ გეგმაში. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ პარტორგმა ასეულის კომუნისტების უმეტესობა ჩააბა გეგმით გათვალისწინებულ ღონისძიებათა შესრულების საქმეში. მაშასადამე, ასეულის პარტორგის სერჟანტ ჩიკვაიძის გეგმის დადებით მხარეს წარმოადგენს დასახული ღონისძიებათა აქტუალობა, კონკრეტულობა ვადების დაწესებასა და შემსრულებელთა გამოყოფაში, აგრეთვე ისიც, რომ გეგმა სწორად განსაზღვრავს ძირითად საკითხებს, რომელთა გადაწყვეტაზე უნდა იმუშაოს პარტორგანიზაციამ გეგმით გათვალისწინებულ პერიოდში.

აი, სწორედ ასეთი მიდგომაა საჭირო ასეულის პარტიული ორგანიზაციის გეგმის შედგენის დროს.

**ამიერკავკასიის ფრონტის პოლიტსამმართველოს ინსპექტორი**

**მაიორი ი. სოგაკო.**



კასპის რაიონის კოლმეურნეობა „ძმობის" შაქრის ჭარხლის მაღალი მოსავლის ოსტატი ხინა დალაქიშვილი, რომელმაც იკრიფა ჰექტარზე 500 ცენტნერი ჭარხლის მოსავალი.

## დათესილია 48.192 ჰექტარი

საქართველოს სსრ მიწსახკომის ცნობებით, 6 აპრილისათვის საგაზაფხულო კულტურები კოლმეურნეობებში დათესილი იყო 48.192 ჰექტარზე, მათ შორის: მარცვლეული და ცერცვოვანები — 20.654 ჰექტარზე, მზესუმზირა — 10.422, შაქრის ჭარხალი — 3.180, კარტოფილი — 1.128, ბოსტნეული — 2.408 ჰექტარზე.

თბილისის რაიონში საგაზაფხულო კულტურები დათესილია გეგმის 48,7 პროცენტი, კასპის რაიონში — 40,8, წითელწყაროს — 38,4, სიღნაღის — 29,9, საგარეჯოს — 29,7, ყვარლის — 26,7, კასპის — 28, გორის—19,2, ხაშურის — 19, ქარელის — 18,4, გურჯაანის — 16,1, ახმეტის — 16,1, მცხეთის — 16, ქუთაისის — 14,7, ორჯონიკიძის—14,6, ყვარლის — 13,5, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში — 13,3, ტყიბულის რაიონში — 13,1, საჩხერის — 13, თეთრი წყაროს —12,4, ზესტაფონის — 11,5, ქუთაისის — 11,2, ზუგდიდის — 7,3 პროცენტი.

გაცხოველებით მიმდინარეობს შაქრის ჭარხლის თესვა. ქარელის რაიონში დათესილია გეგმის 81,2 პროცენტი, ბორჯომის — 65,1, გორის — 56,6, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის — 43,8, ხაშურის — 37, კასპის — 26,1 პროცენტი.

ყვარლის რაიონში მზესუმზირის თესვის გეგმა შესრულებულია 146,8 პროცენტით. მცხეთისა და ლაგოდეხის რაიონებს გეგმები შესრულებული ჰქონდათ 100 პროცენტით, თბილისის რაიონში დათესილი იყო 73,2 პროცენტი, თეთრი წყაროს — 89,5, საგარეჯოს — 67,9, თელავის — 87,1, ახმეტის — 61,8, გურჯაანის — 71,9, კასპის — 62,5, სიღნაღის — 58,5, წითელწყაროს — 45,1 პროცენტი.

## საკავშირო შეჯიბრება კრივში

7 აპრილს დაიწყო მოკრივეთა საკავშირო შეჯიბრება, რომელშიც მონაწილეობს სსრ კავშირის 16 ქალაქის მოკრივეთა გუნდები.

ამ დღეს თბილისის სახელმწიფო ცირკის შენობაში ერთმანეთს შეხვდნენ ტაშკენტისა და ბაქოს გუნდები. პირველ წყვილში ბაქოელმა რიბაკოვმა ნოკაუტი გაუკეთა კაბანოვს. შემდეგ ორ შეხვედრაში გამარჯვება წილად ხვდათ დავიდოვსა და გორობოვსკის (ტაშკენტი). ბაქოელ ნილოვის გამარჯვებით შემდეგ ქულათა რაოდენობა გათანაბრდა და შეხვედრებმა დაძაბული ხასიათი მიიღო. ბოლო წყვილთა შეხვედრებში გაიმარჯვეს აზუმოვმა (ბაქო) და სპორტის ოსტატმა ფედიაევმა (ტაშკენტი). მატჩის დასასრულ ორივე გუნდმა 12-12 ქულა მოაგროვა, მაგრამ გამარჯვება ბაქოს მიენიჭა, რადგან ბაქოელებს ქულების მოგროვებაზე ნაკლები დრო ჰქონდათ დახარჯული.

9 აპრილს ჩატარდა თბილისისა და ბაქოს მოკრივეთა მატჩი, რომელმაც დიდძალი მაყურებელი მიიზიდა. შეჯიბრებამ გამოავლინა თბილისელ მოკრივეთა დიდი ფიზიკური გამძლეობა და მაღალი ტექნიკური მომზადება.

პირველ ორ წყვილში გაიმარჯვეს თბილისელმა ხანუკაშვილმა და არისტაკოვმა. სწრაფად დამთავრდა სამხრეთა კავშირის ჩემპიონ გორგასლიძისა (თბილისი) და ალიევის შეხვედრა. გორგასლიძემ პირველივე რაუნდში ნოკაუტი გაუკეთა მოწინააღმდეგეს. დიდი უპირატესობით მოიგეს შეხვედრები აგრეთვე სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ყარიანოვმა, სპორტის ოსტატებმა მელიაძემ, ლუდუშაურმა და სსრ კავშირის ჩემპიონმა ნოვოსარდოვმა.

ბაქოელმა ილინოვმა მოიგო დღის დამატჩი დამთავრდა თბილისელთა გამარჯვებით, ანგარიშით — 7:1.

ამ გამარჯვებით თბილისის გუნდმა უფლება მოიპოვა მონაწილეობა მიიღოს საფინალო შეხვედრებში, რომელიც მოსკოვში ჩატარდება.

